პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 84 (5634)
1976 წ. 29 აპრილი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეკორდები

მინსკი, 27 აპრილი. არმიელ ტყვიის მსროლელთა საკავშირო ტურნირში თრმა სპორტსმენმა ოფიციალური მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა. კიეველმა ე. კნიაზევმა სტანდარტზე (3×40) მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 1176 ქულა მოაგროვა. ეს საკავშირო რეკორდია და 6 ქულით აღემატება ამერიკელი ლ. უიგერის მიერ 1973 წელს დამყარებულ მსოფლიო მიღწევას. ქალთა შორის მინსკელმა ლ. ზეიდინამ მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში 594 ქულა მოაგროვა და საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა, რომელიც 7 ქულით აღემატება ნ. სტოლიაროვას ორი წლის წინანდელ მსოფლიო მიღწევას.

გამარჯვებით დაიწყეს

ხალხმრავლობა იყო გუშინწინ თბილისის „დინამოს" საჩოგბურთო კორტებზე. ცენტრალური კორტის ტრიბუნები დიდ ჩოგბურთს მონატრებული გულშემატკივრებით იყო სავსე. რამ განაპირობა ესოდენ დიდი ინტერესი? მიზეზი დევისის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი გახლავთ. 27 აპრილს დაიწყო ევროპის „ა" ზონის მესამე წრის მატჩი დევისის თასზე საბჭოთა კავშირისა და მონაკოს ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ჩვენი გუნდი ულიდეროდ, უმეტრეველოდ ატარებს მატჩს, ვინაიდან ალექსანდრე შვეციაში მსოფლიოს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ერთ-ერთ დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. სწორედ ამიტომ, საბჭოთა გუნდის ლიდერობა, „პირველჩოგნობა" ჩვენს თანამემამულეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თეიმურაზ კაკულიას დაეკისრა. პირველ დღეს კაკულიას მეტოქე იყო მონაკოს გუნდის ახალგაზრდა ლიდერი ლუი ბორფიგა. თავიდანვე ყველა თბილისელ ოსტატს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას და ასეც მოხდა, თუმცა, მთელი ძალით რომ ეთამაშა, თეიმურაზი ალბათ უფრო იოლად მიაღწევდა მიზანს. განსაკუთრებით სათუო შეიქნა მისი გამარჯვება პირველ პარტიაში. ხუთი ხელის შემდეგ, როცა ანგარიში იყო 4:1 კაკულიას სასარგებლოდ, მან ზედიზედ სამი ხელი დათმო და საშუალება მისცა მეტოქეს გაეთანაბრებინა ანგარიში. მაგრამ ეს განგაშის საბაბს მაინც არ გვაძლევდა. კაკულიამ იგრძნო თავისი საკმაო უპირატესობა და თავს უფლება მისცა ოდნავ მოედუნებინა ყურადღება, ერთგვარი „წუთშესვენება" აეღო მატჩის მსვლელობის დროს. მაგრამ საკმარისი იყო ბორფიგას გაეთანაბრებინა ანგარიში, რომ თეიმურაზმა მკვეთრად გააძლიერა თამაში და საბოლოოდ გაიმარჯვა — 7:5. მეორე პარტიამ შედარებით „მშვიდობიანად" ჩაიარა. თეიმურაზმა თავიდანვე ხელთ იგდო უპირატესობა და გაიმარჯვა — 6:3. სამაგიეროდ, მესამე პარტიაში სტუმარი გავიდა წინ — 4:2. მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდა მთელი ძალით ქართველი ოსტატი და ოთხი უპასუხო ხელი მოიგო. 6:4 — ასეთია ამ პარტიის ანგარიში კაკულიას სასარგებლოდ.

შემდეგ კორტზე სასპარეზოდ იხმეს მეორე წყვილი — სსრ კავშირისა და მონაკოს ნაკრები გუნდების მეორე ნომრები ვადიმ ბორისოვი და ბერნარ ბალორი. ეს იყო დაახლოებით თანაბარი კლასის ჩოგბურთელთა დაძაბული, საინტერესო ბრძოლა, რომელშიც გამარჯვებას საბჭოთა სპორტის ოსტატმა მიაღწია — 3:0. მაგრამ ამ ანგარიშმა ბევრი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს — იოლ მოგებად შეიძლება ჩაეთვალოს ეს გამარჯვება სპორტსმენს. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. პირველივე პარტიიდან მინიმალური ანგარიშით ხან ერთი მეტოქე იყო წინ, ხან მეორე. საბოლოოდ ამ პარტიაში მათ 12 ხელის თამაში დასჭირდათ. 7:5 — იმარჯვა ბორისოვმა. მეორე პარტია კი მან ძალზე იოლად მოიგო — 6:2. გამარჯვება თითქოს სულ ახლოს იყო. მეტოქე „გატეხილი" ჩანდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა მონაკოელი სპორტსმენი. მან უშეღავათო ბრძოლა შესთავაზა მეტოქეს. ამ პარტიაშიც ვერც ერთ სპორტსმენს ვერ მისცემდი უპირატესობას. ორივე მეტოქე ერიდებოდა ბადესთან მოქმედებას და, თუ კი მაინც უხდებოდა იქ თამაში, უფრო ხშირად ბორისოვი სცოდავდა. თითქმის უკვე მოპოვებულ ქულებს იგი ქარს ატანდა. და მაინც, უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში საბჭოთა სპორტსმენმა უფრო მეტი მამაცობა, შეუპოვრობა გამოიჩინა და ხელიდან გამოჰგლიჯა მეტოქეს ძალზე საჭირო გამარჯვება. 10:8 — ასე დამთავრდა ეს დაძაბული პარტია.

ამრიგად, პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა ნაკრები, რომელსაც ორ შეხვედრაში ორი მოგება აქვს.

დ. გახველი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თ. კაკულიას და ლ. ბორფიგას შეხვედრის მომენტი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

გუშინ...

გაიმართა დევისის თასის ევროპის „ა" ზონის მესამე წრის მეორე დღის ერთი შეხვედრა სსრ კავშირისა და მონაკოს ნაკრებ გუნდებს შორის. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ წყვილები: თ. კაკულია — კ. პუგაევი და ბ. ბალორი — ლ. ბორფიგა. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 5:7, 6:3, 6:3, 6:3.

კალათბურთი

იუგოსლაველთა შემდეგ

ზაგრები, 27 აპრილი. გუშინ აქ დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ იუგოსლავიის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და კუბის ეროვნული გუნდები.

გადამწყვეტ მატჩში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები. პირველ ტაიმში უპირატესობა საბჭოთა კალათბურთელების მხარეს იყო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ა. ბელოვმა, რომლის ნეიტრალიზება იუგოსლაველმა მცველებმა ვერა და ვერ მოახერხეს. ტაიმი მოიგეს სტუმრებმა 9 ქულით — 44:35.

შესვენების შემდეგ იუგოსლაველებმა წარმატებით გადაჭრეს „ბელოვის პრობლემა". ამან მათ გამარჯვება მოუტანა — 91:85.

გამარჯვებულ გუნდში საუცხოოდ ითამაშა ვეტერანმა შოლმანმა. მან თავის კოლექტივს 29 ქულა შესძინა. საბჭოთა ნაკრებში ყველაზე შედეგიანი ა. ბელოვი იყო — 27 ქულა.

მესამე ადგილი ამ ტურნირში წილად ხვდა კუბის ნაკრებს, რომელმაც პრინციპული მატჩი მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს. ეს უკანასკნელი IV ადგილზე დარჩა.

სპეციალისტთა აღიარებით, სსრ კავშირის კალათბურთელთა II ადგილი ურიგო შედეგი არ არის, ვინაიდან ეს იყო ნაკრების პირველი ოფიციალური გამოსვლა საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ და ოლიმპიური სამზადისის ერთ-ერთი საწყისი ეტაპი.

მერვე გამარჯვება

ლოს-ანჯელესი, 27 აპრილი. მერვე, დასკვნითი მატჩი, ისევე როგორც ყველა უწინდელი შეხვედრა, სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა ადვილად მოუგო აშშ-ს ეროვნულ გუნდს — 92:69 (44:33). საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ლ. ალექსეევას აღიარებით, ამერიკელებმა ყველაზე კარგად სწორედ ეს ბოლო მატჩი ჩაატარეს.

სსრ კავშირის გუნდში შედეგიანი თამაშით გამოირჩეოდნენ: უ. სემიონოვა და ო. სუხარნოვა. მათ თავიანთს კოლექტივს 24-24 ქულა შესძინეს.

საიუბილეო წელს

წლეულს სამამულო კალათბურთის არსებობის 70 წლისთავი უსრულდება. 1947 წელს სსრ კავშირის კალათბურთის სექცია საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) წევრი გახდა. ამ დროიდან მოყოლებული საბჭოთა კალათბურთელი ქალები და ვაჟები ყველა მნიშვნელოვანი ტიტულის მფლობელნი არიან. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები ბევრჯერ იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ვაჟთა გუნდმა კი ოთხჯერ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის ჯილდოები. მიუნხენში XX ოლიმპიადის დღეებში საბჭოთა კალათბურთელებმა ოქროს მედლები დაიმსახურეს. ისინი, ამავე დროს, მსოფლიო ჩემპიონებიც არიან.

წარმატებით ასპარეზობენ საბჭოთა გუნდები ევროპის საკლუბო ტურნირებშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის რიგის ტტტ-ს და ლენინგრადის „სპარტაკის" ქალთა კოლექტივებზე, მოსკოვის ცსკა-ს და ლენინგრადის „სპარტაკის" ვაჟთა გუნდებზე.

წლევანდელი სპორტული სეზონი დატვირთულია დიდი საერთაშორისო ტურნირებით. აი, ზოგიერთი ამ შეჯიბრებათაგან, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენებს მოუხდებათ გამოსვლა:

„პრაღის დიდი პრიზი" — ჩეხოსლოვაკია, 5-12 მაისი.

ვაჟთა ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირი — სოფია, 18-23 მაისი.

ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის — საფრანგეთი, 20-29 მაისი.

ვაჟთა ეროვნული გუნდების საერთაშორისო ტურნირი — იტალია, ივნისი.

XXI ოლიმპიური თამაშები — მონრეალი, 18-27 ივლისი.

ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი — ესპანეთი, 7-15 აგვისტო.

ევროპის გოგონათა ჩემპიონატი — პოლონეთი, 15-22 აგვისტო.

„ივერია" საქართველოს ჩემპიონია

გურჯაანში დამთავრდა საქართველოს რეგბისტთა ჩემპიონატი. ისევე როგორც შარშან, გათამაშებაში ამჯერადაც მხოლოდ ექვსი გუნდი მონაწილეობდა — ხუთი თბილისიდან, ერთი ქუთაისიდან. რესპუბლიკის სხვა ქალაქების სპორტის მესვეურნი რატომღაც თავს არიდებენ ამ შესანიშნავი თამაშის დანერგვას. კარგი იქნება, თუ ამ მხრივ მივბაძავთ მოსკოვის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, სადაც მსგავს ტურნირებში გუნდები საკმაოდ გამოჰყავთ. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის ათი გუნდიდან ორი თბილისისაა და მათ საიმედო ცვლა უნდა მოვუმზადოთ.

რესპუბლიკის ჩემპიონობა შეინარჩუნა თბილისის „ივერიამ" (მწვრთნელი დ. დავითაია), რომელმაც დაამარცხა „სპარტაკი" (16:0) და ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის გუნდი (10:0). ბოლო ტურში მოთამაშეთა ავადმყოფობის გამო „ივერია" უნივერსიტეტის გუნდთან სათამაშოდ ვერ გამოცხადდა, რისთვისაც მსაჯთა კოლეგიამ წაგება ჩაუთვალა — 0:30, მესამე ტურში იგი მთავარ მეტოქეს „ლოკომოტივს" შეხვდა. ორთაბრძოლა, რომელიც ფინალური თამაშის ტოლფასი იყო, თავიდანვე მაღალი ტემპით დაიწყო. უკვე მეხუთე წუთისთვის რკინიგზელთა თავდამსხმელ მ. ხარშილაძეს შეეძლო ანგარიში გაეხსნა, მაგრამ ზედ ჩათვლის ხაზთან მიუსწრო ვ. აბაშიძემ, რომელმაც თავგანწირული ნახტომით მოახერხა მოწინააღმდეგის შეჩერება. შემდეგ უპირატესობა თანდათან „ივერიამ" იგდო ხელთ. მოედანზე საუკეთესო იყო ივერიელი ი. კიზირია, რომელსაც განზრახული ჰქონდა რეგბისთვის თავის დანებება, მაგრამ მწვრთნელისა და ამხანაგების თხოვნით კვლავ დაუბრუნდა გუნდს. ამ მატჩში კიზირიამ თითქმის მოედნის ცენტრიდან არეკნით უძლიერესი დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის ძელებს შუა გაატარა. ეს ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა — 3:0.

„ლოკომოტივის" რეგბისტთა კოლექტივი ჩემპიონს 2 ქულით ჩამორჩა. რკინიგზელებმა დაამარცხეს „სპარტაკი" (15:8), უნივერსიტეტი (30:17), „ივერიასთან" წაგების შემდეგ კი რატომღაც ჯეროვნად ვერ შეაფასეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტების ძალა და მეორე მარცხიც იწვნიეს — 16:19. ბოლო ტურში მათ მინიმალური ანგარიშით აჯობეს ქუთაისელებს (4:3).

მიუხედავად ამ შედეგებისა, „ლოკომოტივისგან" წლეულს ბევრს მოელიან გულშემატკივრები. საკავშირო პირველობა კარსაა მომდგარი. მწრთნელი თ. ზენდიაშვილი ამ ჩემპიონატიდან ალბათ სათანადო დასკვნებს გამოიტანს და გუნდი მომზადებული შეხვდება ახალ სეზონს.

ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის გუნდმა 5 ქულა მოაგროვა. მან დაამარცხა უნივერსიტეტი (6:0), სპი (10:6) და ფრედ დაამთავრა მატჩი „სპარტაკთან" (3:3). ქუთაისელები აქამდე ძალისმიერ თამაშს ამჯობინებდნენ, ახლა კი ჩანს, რომ მათი ტექნიკური არსენალი საგრძნობლადაა გამდიდრებული.

„სპარტაკმა" ჩემპიონატი დროზე ადრე დაამთავრა (მან ორი მატჩი წინასწარ გამართა, რადგან 17 აპრილს ლაზარევკაში ცენტრალური საბჭოს პირველობა დაიწყო). ამ გუნდმა, ისევე როგორც ქუთაისელთა კოლექტივმა, 5 ქულა მოაგროვა (ბურთების უკეთესი შეფარდებით), მაგრამ მისი შეხვედრა უნივერსიტეტთან (18:0) გაპროტესტებულია და რეგბის ფედერაცია საკითხს მოგვიანებით გადაწყვეტს.

უნივერსიტეტის გუნდი შარშანდელზე ბევრად უკეთ გამოვიდა, მაგრამ მეტიც შეუძლია. სპორტულმა კლუბმა და ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრამ გუნდს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, მაგალითად, სპორტსმენებს ფორმა არა აქვთ, ისინი თავიანთი ხარჯით წავიდნენ გურჯაანში სათამაშოდ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტები ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები იყვნენ, ერთად წვრთნა რომ დაიწყეს სპორტის ოსტატ გ. მიქაბერიძის ხელმძღვანელობით. გუნდი ერთიან, მტკიცე ბირთვს წარმოადგენს, და თუ ასე გაგრძელდა, კარგი კოლექტივი უნდა დადგეს.

ჩემპიონატი შესანიშნავად იყო მოწყობილი. გურჯაანის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჭუჭულაშვილი მთელი კვირა თავს დასტრიალებდა სპორტსმენებს.

დ. თაქთაქიშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რესპუბლიკის ჩემპიონი „ივერიის" გუნდი.
ავტორის ფოტო.

ფეხბურთი

საშემოდგომო მატჩები

სსრ კავშირის მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატში, როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს" 7 მატჩის ჩატარება უწევს შინ, ხოლო დანარჩენებისა — გასვლაზე.

ცნობილი გახდა, რომ შემოდგომაზე, 39-ე ჩემპიონატში ჩვენი გუნდი, პირიქით, 8 მატჩს ჩაატარებს შინ და 7-ს — სტუმრად.

თბილისელები თავიანთ მინდორზე ითამაშებენ მინსკის „დინამოსთან", მოსკოვის „ლოკომოტივთან", ერევნის „არარატთან", ვოროშილოვგრადის „ზარიასთან", კიევის „დინამოსთან", დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან", ლენინგრადის „ზენიტთან" და მოსკოვის „დინამოსთან", ხოლო გასვლაზე — დონეცკის „შახტიორთან", ლვოვის „კარპატისთან", კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან", მოსკოვის „სპარტაკთან", ცსკა-სთან, მოსკოვის „ტორპედოსთან" და ოდესის „ჩერნომორეცთან".

ამრიგად, თბილისელები წლეულს ორჯერ მიიღებენ შინ „დნეპრსა" და „ზარიას", ხოლო „შახტიორს" და „ჩერნომორეცს" ორჯერვე მათ მინდორზე შეხვდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იეთიმ გურჯის ფალავანი

ქართული სპორტის ქრონიკა

**„ლელოს"
ინტერვიუ
გიორგი
კახნიაშვილთან**

*ახალ მოჭიდავეებში
ერთი გამოერია,
ფალავნების ჰამქარში,
ვიტყვი, გმირად სწერია
ცეცხლი ნაპერწკალია,
რას დააკლებს მტერია,
გიორგია ვერელი,
მისთვის დამიმღერია.
სამნი ძმები არიან
ფალავნები ვერაზე
შაშოს, ირაკლის ვაქებ,
გიორგის კი ყველაზე,
ტოლი ვერას დააკლებს,
გინდ მისვიდე წყენაზე
დარწმუნდებით მაშინა,
როცა ნახავთ სცენაზე...*

ეს ლექსი ცნობილმა აშუღმა იეთიმ გურჯმა 1922 წელს მიუძღვნა 26 წლის გიორგი კახნიაშვილს — „ფალავნების ჰამქარში" პატარა ვერელად წოდებულს. ჭიდაობა გიორგიმ დაიწყო 11 წლის ასაკიდან და მთელი 25 წლის მანძილზე გამოდიოდა სარბიელზე პატარა ვერელის ფსევდონიმით. კახნიაშვილების ოჯახში სამი ძმა იყო, სამივე — მოჭიდავე. უფროსმა ძმამ შაშომ ადრე გაითქვა სახელი, როგორც ღირსეულმა ფალავანმა. უმცროსი ძმა ირაკლი, პროფესიით აგრონომი, ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში და უფრო მეტად ქართული ჭიდაობის თეორიით იყო გატაცებული.

პატარა ვერელს წლეულს 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ თავს მხნედ გრძნობს. ამჟამად მუშაობს კალინინის რაიონის 61-ე საბინაო საექსპლოატაციო კონტორის პარტბიუროს მდივნად. ჩვენი საუბარიც სწორედ ამ კონტორის შენობაში შედგა.

● რა მოგონებებთან არის დაკავშირებული თქვენს მეხსიერებაში ქართული ჭიდაობა?

— ამ რაინდულ სპორტს, რომელსაც დღეს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, პირველად ფიქრის გორაზე გავეცანი. მაშინ ჭიდაობას თავკაცობდა სახელოვანი ფალავანი კოსტა მაისურაძე. თვითონ სარბიელზე აღარ გამოდიოდა — უმთავრესად ორგანიზაციულ საქმიანობას ეწეოდა. მანდვე, ფიქრის გორაზე ვნახე პირველად ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტი რაინდები ირაკლი ვაჩნაძე, რომელსაც მეტსახელად კახელს ეძახდნენ, და ლადო კავსაძე.

● თუ იყო თბილისში კიდევ სხვა რომელიმე სარბიელი ფიქრის გორის გარდა?

— საჭიდაოები მაშინდელ თბილისში სოკოებივით იყო მოფენილი. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სარბიელი გრიშუას ბაღში, დიდუბის ეკლესიის უკან იყო მოწყობილი. მას ცინცაძეების ცირკი ერქვა. აი, სწორედ ამ ცირკთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი პატარა ეპიზოდი. 1911 თუ 1912 წელი იყო. თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ირანელი ფალავანი ახკი სულეიმანი. გრიშუას ბაღში უცხოელი სტუმარი შეხვდა სახელგანთქმულ მოჭიდავეებს მიხა ქურხულს, გიორგი ოდიშვილს, ჩემს ძმას შაშოს და სამივე წააქცია. ირანელი ტანად ვეება იყო და წინასწარ შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეებს, ბოლოს არჩევანი ირაკლი ვაჩნაძეზე დადგა. კახელი უარს ამბობდა წრეში შესვლაზე — ჩემი მასწავლებლები წააქცია და მე რას გავაწყობო. მაგრამ არ მოეშვნენ და ბოლოს დათანხმდა შესჭიდებოდა ირანელს. ამ ბრძოლის საპატიო მსაჯთა შორის იყვნენ სახელოვანი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, ცნობილი ვექილი შალვა მესხიშვილი და პოეტი ბეჩარა. სეირის სანახავად მოსულთა შორის ბევრი იყო სულეიმანის მომხრე. მათ ირაკლის გამოჩენისთანავე სიცილი დააყარეს: ამ ბალღმა რა უნდა გააწყოს გოლიათთანო. მაგრამ ბალღმა ბრძოლის დაწყებისთანავე ჩაკეტილი ფეხით წამოიღო ვეება მოჭიდავე და მიწას დაანარცხა. არასდროს დამავიწყდება ის სიხარული, კახელმა სირცხვილს გადაგვარჩინა ყველა.

● შაშო ვერელის სახელი ჩვენს ხალხში ლეგენდადაა ქცეული. იქნებ რაიმე ეპიზოდი გაიხსენოთ თქვენი ძმის ცხოვრებიდან?

— თუ არ ვცდები, ეს იყო 1912 წელი. შაშო რევოლუციონერებთან კავშირისთვის დააპატიმრეს და ტაგანროგში გადაასახლეს. მაგრამ იქ დიდხანს არ ყოფილა, გამოიპარა და პირდაპირ დიდუბეში, ჩიხლაძეების ცირკში გამოგვეცხადა, თანაც, საჭიდაოდ ჩაეწერა. თავდაპირველად ლუკა დადიანიძეს შეხვდა და მოუგო. მაგრამ მერე იროდიონ ქიზიყელმა დაამარცხა. მე თავი ვერ შევიკავე და სარბიელზე გადავხტი, მაგრამ ძალით გამათრიეს იქიდან — ბავშვი ხარ და ძმას მასხრად ნუ იგდებო. გავიდა დრო ხანი და ქიზიყელთან შეხვედრა მაინც მომიხდა. გრიშუას ბაღში წავაქციე და ძველი ჯავრიც ვიყარე.

● ვინ მიგაჩნიათ თქვენი დროის მოჭიდავეთაგან საუკეთესოდ?

— მიხა ქურხული, ირაკლი ვაჩნაძე, ვახტანგ ციციშვილი და ვანო წამალაშვილი. ეს უკანასკნელი საოცრად ტექნიკური მოჭიდავე იყო. ჩემს ძმაზე არაფერს ვამბობ.

● ახალგაზრდა თაობის მოჭიდავეებზე რაღას იტყვით?

— სიმონ მაისურაძე განსაცვიფრებელი ტექნიკის მქონე მოჭიდავე იყო. ქართული ჭიდაობის ილეთების ცოდნაში მას ბადალი არ ჰყავდა. ძალიან მომწონდა ანზორ კიკნაძის ჭიდაობაც. ანზორი ნამდვილი ფალავანი იყო, ვაჟკაცური შემართებით.

● არის თუ არა განსხვავება თქვენი დროისა და ახლანდელ მოჭიდავეებს შორის?

— კარგები მაშინაც კარგები იყვნენ და ახლაც. მაგრამ, ჩემი აზრით, ძველ ფალავნებს უფრო განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ ქართულ ჭიდაობაზე. მე ახლაც უნახავს არ ვტოვებ არც ერთ შეჯიბრებას ფალავნობაზე და გაკვირვებული ვარ, როცა ერთი მოჭიდავე მეორეს წაავლებს ხოლმე ხელს ფეხებში. ჩვენ დროს ეს სამარცხვინო ამბად ითვლებოდა.

● რა ღირსებები აქვს, თქვენი აზრით, ქართულ ჭიდაობას და რით განსხვავდება იგი ჭიდაობის სხვა სახეობებისგან?

— ქართული ჭიდაობის მთავარი ღირსება მისი სიწმინდე და რაინდულობაა: ზურგი არასდროს აჩვენო მეტოქეს, რაგინდ ძლიერიც უნდა იყოს შენზე. ეს მთავარია. ქართული ჭიდაობა უშიშართა სპორტია, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაშიც კი არასდროს უნდა მოექცე მეტოქეს უდიერად. გამარჯვება მუდამ იყო და რჩება ქართული ჭიდაობის მთავარ მიზნად, მაგრამ ნამდვილმა ფალავანმა დამარცხებაც ვაჟკაცური, ღირსეული უნდა იცოდეს. კიდევ ერთი დეტალი: ჭეშმარიტი მოჭიდავე მოწინააღმდეგეზე გამართული მიდის. ამ მხრივ ყველაზე საგულისხმოა და ეფექტური შოთა ჩოჩიშვილის ჭიდაობის მანერა. იგი კარგად ფლობს ტექნიკური ხერხების არსენალს და თანაც გამართული ჭიდაობს.

● ხომ არ არის შესაცვლელი რამე ქართული ჭიდაობის დღევანდელ წესებში?

— შეცვლა კი არა, ქართული ჭიდაობის წესებს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბება სჭირდება. სხვათა შორის, ამ მხრივ თავის დროზე დიდი მუშაობა ჩაატარა ჩემმა უმცროსმა ძმამ ირაკლიმ. მე ახლაც მაქვს შენახული მისი ჩანაწერების მთელი დასტა და, თუ კი ვინმე სერიოზულად დაინტერესდება ამ საქმით, შემიძლია გავაცნო იგი. ქართული ჭიდაობის წესებზე ბევრს მუშაობდა ვანო წამალაშვილიც. ჩემი აზრით, მისი იდეებიც გასათვალისწინებელია. შეიძლება ეს ჩემი პირადი შეხედულებაა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ქართული ჭიდაობის შეფასება არ უნდა ხდებოდეს ქულებით. ქულებს გამოდევნებულმა ფალავნებმა მთლიანად დაივიწყეს ისეთი ილეთები, როგორიცაა შუა ან წყვილი ფეხი, თეძო, კისრული. აი ეს ილეთები უნდა დავხვეწოთ და გამოვიყენოთ. ქულებზე ნადირობა, სამწუხაროდ, აღარიბებს ჭიდაობას.



პატარა ვერელი
(გ. კახნიაშვილი).

◆

● დღევანდელ მოჭიდავეს გაცილებით მეტი პირობები აქვს წვრთნისთვის, ვიდრე თქვენი დროის ფალავნებს. როგორ ატარებდით მაშინ საწვრთნელ ვარჯიშებს?

— წვრთნა, როგორც სწავლების პროცესი, ჩვენთვის უცხო იყო, ამიტომაც, ცხადია, არავითარი საწვრთნელი ბაზები არ გვქონდა. არ იყო წონით კატეგორიებად დაყოფაც. მოგიწევდა, ვთქვათ, სანდრო კანდელაკთან შეხვედრა, უნდა ჩამდგარიყავი წრეში და გეჭიდავა. მაგრამ რეჟიმს ყოველი ჩვენგანი თავისი შეხედულებისამებრ იცავდა. ჩვენი ვარჯიში იყო მთელი დღის მანძილზე მძიმე ფიზიკური შრომა. დღის ბოლოს კი მივდიოდით ცირკში და ვჭიდაობდით.

● ჭიდაობის რომელი კლასიკური სახეობა მოგწონთ ყველაზე მეტად?

— მე თბილისში გამართულ თითქმის ყველა ოფიციალურ ტურნირს ვესწრები, მაგრამ ყველაზე მოუთმენლად ველი ხოლმე ძიუდოისტთა შეჯიბრებას. ძიუდოს ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ ჭიდაობასთან და იაპონელები შესანიშნავად იყენებენ იმ ილეთებს, რასაც ჩვენ წმინდა ქართულ ფანდებს ვუწოდებთ. ძიუდოში მტკივნეული და მახრჩობელა ხერხები რომ არ იყოს, ნამდვილი ქართული ჭიდაობა იქნებოდა.

ჩვენი საუბარი სახელოვან ფალავანთან მინდა დავამთავრო იეთიმ გურჯის ცნობილი ლექსის ბოლო სამი სტროფით:

*პირველად რომ გამოდის,
ზოგს არაფრად ჰგონია
ეშმაკური ფანდი აქვს,
არც აკლია ღონეა,
ბევრი კაი ბიჭები
დასცა დაუღონია,
როცა ნახავთ თვალითა,
იტყვით მოსაწონია.
მე ჩემს მხრიდან შევამკობ
ქება მოუხდებაო,
ჯერ ყმაწვილი კაცია
მოხდეს დავარდებაო,
ცოტა ხანი აცალეთ,
უფრო გამაგრდებაო,
ბოლოს იმის სახელი
ყველგან მოედებაო.
ჯერ დროებით მივართმევ
ამ ხუხე ხანასაო
იეთიმ გურჯის ფალავანს
ვერელ გიორგასაო,
თუ კი დაიმსახურებს
ვაჟკაცური გზასაო
უფრო ახალს დაუწერ
უკეთესსა სხვასაო.*

ნ. გუგუშვილი.

ფიზკულტურის კოლექტივებში

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

პირობას შეასრულებენ

თბილისის მოსე თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებელი (დირექტორი საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ი. ქოიავა, ფიზაღზრდის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი ნ. ჩანტლაძე) საქართველოში ერთ-ერთი მოწინავეა. ამაში დარწმუნდებით, როცა ახლოს გაიცნობთ ამ სასწავლებლის შრომისმოყვარე კოლექტივის წარმატებებს, ნახავთ მათ მიერ მოპოვებულ გარდამავალ დროშებს, თასებს, პრიზებს, ვიმპელებს, სიგელებს...

ამ დღეებში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმისთვის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის წარმატებით წარმართვისა და სპორტული ბაზის განმტკიცებისთვის საკავშირო სპორტკომიტეტმა ქვეყნის სხვა მოწინავე ორგანიზაციებთან ერთად მე-11 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივი დააჯილდოვა „მშდ კომპლექსის საპატიო ნიშნით". ამასთან დაკავშირებით ვეწვიეთ დაჯილდოებულ კოლექტივს.

როგორც ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. ჩანტლაძე გვიამბობს, სასწავლებლის 12 სპორტულ სექციაში ხუთასზე მეტი მოსწავლეა ჩაბმული. სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში. მაგალითად, შარშან დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სპორტულ თამაშებში ვაჟებმა ყველას აჯობეს გუნდურ შეჯიბრებაში, ხოლო გოგონები III საპრიზო ადგილზე გავიდნენ. ცალკეული სახეობების მიხედვით სპორტული თამაშების ჩემპიონები გახდნენ მაგიდის ჩოგბურთელი გოგონები და ვაჟები, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, მოკრივეები და აკრობატები. სასწავლებლის სპორტსმენებმა II ადგილები დაიკავეს ტყვიის სროლაში (გოგონები და ვაჟები), ბატუტზე ხტომაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ცურვაში, ველოსპორტსა (ვაჟები) და ადგილზე ორიენტირებაში. III ადგილზე გავიდნენ კალათბურთელი ვაჟები, მოცურავე, ტანმოვარჯიშე და ფრენბურთელ გოგონათა გუნდები. წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ სპორტის ოსტატობის კანდიდატებს, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ჩემპიონებსა და ნაკრები გუნდის წევრებს თავისუფალ და კლასიკური სტილით ჭიდაობაში ვ. ქვლივიძესა და ნ. ბადურაშვილს, შარშანდელი რესპუბლიკური სპორტული თამაშების ჩემპიონებს კრივში მ. ქირიას, თ. ნარიმანიძესა და გ. ჯაჭუას, მაგიდის ჩოგბურთში — პ. კოდუას, ვ. სიმონიშვილსა და ი. საფაროვს, ტყვიის სროლაში — ი. ზადესანკს. თანრიგოსან სპორტსმენებს მ. ასათიანს, ა. ძნელაძეს, ი. ჭყონიას, თ. ჩიხლაძეს, ა. ხაჭაპურიძეს, ნ. მეჩიკოვას, ვ. ჯავახოვას, ვ. შაპოლოვს, თ. კაიშაურს, ლ. ოგანეზოვასა და სხვებს.

მეცხრე ხუთწლედი სასწავლებლის სპორტსმენებმა დიდი წარმატებით დაამთავრეს. ხუთი წლის განმავლობაში აქ მომზადდა 11 სპორტის ოსტატი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ექვსისა, 7 ოსტატობის კანდიდატი, ნაცვლად სამისა, 104 პირველთანრიგოსანი, ნაცვლად 63-სა. მასობრივი თანრიგები შეასრულა ასობით მოსწავლემ, რაც გეგმით გათვალისწინებულს თითქმის 3,5-ჯერ სჭარბობს. აგრეთვე დიდი გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების ხუთწლიანი გეგმები.

სასწავლებელში დიდი ყურადღება ექცევა მშდ კომპლექსს. გასულ ხუთწლედში მომზადდა 1240 ნიშნოსანი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 640-სა. წლეულს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში 850-მდე მოსწავლეა ჩაბმული. სასწავლებელში შექმნილია მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები 11-კაციანი კომისია დირექტორის მოადგილის ვ. მარგველაშვილის თავმჯდომარეობით. კომისიას აქვს თავისი სამუშაო გეგმა. ყოველთვიურად ტარდება სხდომები, სადაც განიხილავენ ნორმატივების ჩაბარების საკითხებს. ყოველწლიურად ეწყობა სასწავლებლის სპარტაკიადა მშდ-ს მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე. დაწესებულია პრიზები ჯგუფებს შორის გამარჯვებულებისთვის.

1975 წელს ფიზკულტურულ მუშაობაში მოპოვებული საუკეთესო შედეგებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის სასწავლებელმა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო სპორტკომიტეტის, დოსააფის, პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

— მეათე ხუთწლედში ჩვენი კოლექტივის წინაშე ახალი ამოცანები დგას, — ამბობს ნ. ჩანტლაძე. — ვივალდებულეთ წლეულს მოვამზადოთ ერთი სპორტის ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი, 10 პირველთანრიგოსანი და 900-მდე მასობრივი თანრიგების სპორტსმენი, 270 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი. დაგეგმილი გვაქვს ზაფხულში, არდადეგების დროს მოვაწყოთ ველოტურისტული გადარბენა მარშრუტით — თბილისი — გორი — ქუთაისი — სოხუმი — ბათუმი — თბილისი. თავს არ დავზოგავთ აღებული ვალდებულებების პირნათლად შესასრულებლად.

ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ პროფტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადის თბილისის ზონაში მე-11 სასწავლებლის სპორტსმენებმა კალათბურთსა და ბადმინტონში ფინალის საგზურები მოიპოვეს. ჯერჯერობით კი შეჯიბრებები მხოლოდ სამ სახეობაში ჩატარდა.

ვ. დანელია.

კეთილი საქმეები

დიდი ხანია გოდერძი სამხარაძე ჭიათურის მთამსვლელთა და ტურისტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს.

გოდერძი ბავშვობიდან დაუახლოვდა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელების ჯაფარიძეების ოჯახს. მისი ნათლობა იყო 1954 წელს ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ მოწყობილ პირველ ალპინიადაში მონაწილეობა, რომელშიც მხოლოდ ჭიათურელი მაღაროელები ჩაებნენ. გოდერძიმ კაცხის სვეტიდან მოხსნა 1944 წელს ალიოშა ჯაფარიძის მიერ დატოვებული ბარათი. მას შემდეგ გოდერძის სექცია უფრო გაიზარდა. ბიჭები თავს არ ზოგავენ კეთილი საქმისთვის. ზამთრობით ჭიათურის შორეულ სოფლებში მოძრაობა შეჩერებულია დიდთოვლობის გამო. ამ დროს მთამსვლელებს ბევრი ექიმი გადაუყვანიათ, ბევრი ავადმყოფისთვის მიუტანიათ ჟანგბადის ბალიშები და წამლები...

წლეულს კი დიდთოვლობისას სამხარაძის ჯგუფს დიდი ჯაფა დაადგა. უზარმაზარი კლდეები თავზე გადმოსდგომია ქუჩებს, დროდადრო კლდიდან ცვივა ლოდები, წყდება გაყინული თოვლის მთელი გორები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან გამვლელებს და დიდი ხნით აფერხებენ მოძრაობას. ყოველივე ამის მოწესრიგებისთვის დაუზარებლად მუშაობენ გ. სამხარაძე და მისი ბიჭები. ამ სურათზეც ერთ-ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი.

შ. ტატიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „ივერია“ (ხაშური) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:0. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა კვარაცხელიას მიერ გატანილმა ბურთმა.

● „დურუჯი“ (ყვარელი) — „განთიადი“ (თბილისი) 1:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ანგარიში გახსნა განთიადელმა მაზინჩუკმა, ხოლო ტაიმის დასასრულს ზაუტაშვილმა აღადგინა წონასწორობა. გადამწყვეტი გოლი „დურუჯის“ კარში 61-ე წუთზე გაიტანა გაგუამ.

● უნივერსიტეტი (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:2. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, ტემპიანად. ივანოვმა და მეგრელაძემ ყოველ ტაიმში თითო ბურთი გაიტანეს უნივერსიტეტელთა კარში.

● „ცისარტყელა“ (წულუკიძე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (თბილისი).

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და წარმატებასაც მიაღწიეს (დარჯანია). შემდეგ „სალხინოს“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა თოდიძემ.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ა. წურქავა (ფოთი).

● „კოლხეთი“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

ორივე გუნდს საკმაოდ ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციები გამოუყენებელი დარჩა. მატჩის გადამწყვეტი ბურთი ცხაკაიელმა ქაჩიბაიამ გაიტანა შორი მანძილიდან საჯარიმო დარტყმით.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:1. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

ქობულეთელმა ფეხბურთელებმა უპირველეს ყოვლისა თავი გამოიჩინეს ... უხეშობით და წესრიგის სისტემატური დარღვევით. კოლექტივის საკითხს საგანგებოდ განიხილავს სპორტტექნიკური კომისია.

გათამაშების ცხრილები

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ.	6	4	0	2	12—9	8
„განთიადი“	6	2	4	0	4—2	8
„ნადიკვარი“	5	3	0	2	10—4	6
„ივერია“	5	2	2	1	6—4	6
უნივერსიტეტი	5	2	2	1	5—3	6
„მადნეული“	6	2	2	2	7—6	6
პოლ. ინსტ.	5	2	1	2	7—9	5
„დურუჯი“	6	1	3	2	6—8	5
ასკ თბ.	3	0	2	1	2—3	2
„ვარძია“	4	0	2	2	1—5	2
„ქართლი“	5	0	2	3	1—8	2

II ზონა

„დინამო“	6	3	2	1	13—6	8
„სალხინო“	6	2	4	0	5—2	8
„მერცხალი“	6	4	0	2	7—5	8
„ეგრისი“	6	3	2	1	6—4	8
„ცისარტყელა“	6	3	1	2	6—7	7
„მეშახტე“	6	2	2	2	7—6	6
„კოლხეთი“ ფ.	6	1	4	1	5—4	6
„კოლხეთი“ ხ.	6	1	3	2	4—3	5
„ამირანი“	6	2	1	3	8—11	5
„კოლმეურნე“	6	1	2	3	6—10	4
„მეტალურგი“	6	1	2	3	5—9	4
„შუქურა“	6	1	1	4	5—10	3

II ჯგუფი

I ზონა

„მეშაქრე“ (აგარა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 1:6, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „სამცხე“ (აწყური) 3:1, „ყინცვისი“ (ქარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „არაგვი“ (დუშეთი) 7:0, „ფოლადი“ (რუსთავი) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 1:0. ადიგენის „განახლებას“ გამარჯვება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან“.

II ზონა

„საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მზიური“ (გალი) 1:0, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 1:0, „ტორპედო“ (გაგრა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:0, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „მშენებელი“ (ბათუმი) 2:0, „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „სულორი“ (ვანი) 0:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 3:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:0, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „სპარტაკი“ (ქუთაისი) 1:0.

როგორც აღვნიშნეთ, მახარაძის „მერცხალთან“ შეხვედრაში თავაშვებულად იქცეოდნენ ქობულეთის „შუქურის“ ფეხბურთელები, რის გამოც მინდვრიდან გააძევეს გ. ჯორბენაძე, ხოლო გაფრთხილება მიეცათ ტ. მუავანაძეს, ს. გოგმაჩაძეს და ვ. მიქაბაძეს.

სხვადასხვა ხასიათის დარღვევისთვის გაფრთხილება მიეცათ: თ. ქირიას („ეგრისი“, ცხაკაია), ვ. ბერძენიშვილს („ცისარტყელა“, წულუკიძე), ვ. ცანავას („დინამო“, სოხუმი), თ. მჭედლიშვილს („დურუჯი“, ყვარელი), გ. კარელიძეს და გ. მარტინენკოს („ქართლი“, გორის რაიონი), ვ. ბოჭორიშვილს („მეშახტე“, ტყიბული), ზ. ჯინჭველეიშვილს (ხდკ, სამტრედია), თ. სანიკიძეს („ავტომობილისტი“, მაიაკოვსკი), ა. საზანდარიშვილს („ყინცვისი“, ქარელი), თ. მლებროვს („ჩიხურა“, საჩხერე).

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

„სამორინეს“ თაოსნობით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული განყოფილების სატელევიზიო საჭადრაკო ჟურნალის „სამორინეს“ თაოსნობით 27 აპრილს მოეწყო მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის ერთდროული თამაშის სეანსი 6 დაფაზე საათებით. თამაშის მსვლელობა რამდენიმეჯერ გადაიცა ცისფერ ეკრანზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი სეანსი, ოღონდ 8 დაფაზე, ჟურნალმა „სამორინემ“ პირველად 1973 წელს გამართა, როცა მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს შეახვედრა ნიჭიერი მოჭადრაკე გოგონები. სეანსს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ხოლო მონაწილეებს კი სასიამოვნო მოგონებად დარჩათ.

ამჯერად მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მეტოქეები იყვნენ ნორჩი თბილისელი ოსტატობის კანდიდატები ნანა იოსელიანი (130-ე სკოლა, VII კლასი), ნინო გურიელი (54-ე სკოლა, IX კლასი), ნანა ჩხაიძე (116-ე სკოლა, X კლასი), რუსუდან გეგიძე (55-ე სკოლა, IX კლასი), ალექსანდრე ჩიკვაიძე (56-ე სკოლა, V კლასი) და პირველთანრიგოსანი ვახტანგ ბახტაძე (142-ე სკოლა, X კლასი).

სეანსი ოთხ საათს გაგრძელდა. ნორჩმა მოჭადრაკეებმა, რომლებიც შავი ფიგურებით თამაშობდნენ, ჭადრაკის გვირგვინოსანს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს.

პირველმა დაამთავრა თამაში რ. გეგიძემ. მან მძიმე სადებიუტო სისტემა აირჩია (ძველინდური დაცვა) და მალე მისი მეფის პოზიცია ძლიერი იერიშის ქვეშ მოჰყვა. მხედრის შეწირვით კარპოვმა გაიმარჯვა.

მოსაგები, ზედმეტპაიკიანი ენდშპილი მიიღო ა. ჩიკვაიძემ. მაგრამ ყმაწვილს არ ეყო გამოცდილება და ტექნიკა უპირატესობის რეალიზებისთვის. მსოფლიო ჩემპიონმა გააყაიმა პარტია.

— ვინაა ეს გოგონა? — გვკითხა კარპოვმა, ნ. იოსელიანს რომ დაუზავდა. როცა ორიოდე სიტყვით ვუამბეთ ნორჩი მოჭადრაკის საკმაოდ გახმაურებულ წარმატებებზე, ღიმილით თქვა:

— ძალიან კარგად, აზრიანად თამაშობს. ღირსეულ მეტოქესთან მქონია საქმე.

რთულად მიმდინარეობდა ნ. გურიელის პარტია, რომელიც უფიმცევის დაცვით დაიწყო. გარკვეულ მომენტამდე ნინო საუცხოოდ თამაშობდა, მაგრამ დროის უჩვეულო კონტროლმა (თითოეულ მონაწილეს 45 სვლისთვის 2 საათი ჰქონდა) შეაწუხა, ცაიტნოტში აჩქარდა და ყველა პრობლემა ვერ დაძლია. ბოლოს მან პაიკიც შესწირა, მაგრამ კარპოვის ეტლი შეიჭრა შავების განლაგებაში და შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა.

ნ. ჩხაიძემ სცადა ორიგინალური აზრი ჩაექსოვა სიცილიური დაცვის დრაკონის სისტემაში, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. კარპოვმა ხელთ იგდო ინიციატივა. ნანამ მეტოქის იერიშები მოიგერია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის მხედარი გამაგრდა მეფის ფრთაზე და პარტიის გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა.

ბოლოს დამთავრდა ვ. ბახტაძის პარტია. მეთოდური თამაშით კარპოვმა გამოიყენა თავისი პოზიციის უპირატესობა და გაიმარჯვა.

დასასრულს მსოფლიო ჩემპიონმა განაცხადა, რომ მას მოეწონა ნორჩი მეტოქეების თამაში, დაახასიათა თითოეულის პარტია.

სეანსის მონაწილეებს სამახსოვროდ გადაეცათ საჭადრაკო წიგნები ა. კარპოვის ავტოგრაფით.

თ. გიორგაძე,
სეანსის მსაჯთა ჟიურის თავმჯდომარე, საერთაშორისო არბიტრი.

მატჩები ჩაშალეს

24 აპრილი რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩების დღე იყო. თბილისში უნდა შემდგარიყო თამაში ადგილობრივ არმიის სპორტკლუბის გუნდსა და თელავის „ნადიკვარს“ შორის. არმიელები საკუთარ მინდორზე ხვდებოდნენ თელაველებს.

მაგრამ ასკ-ს სტადიონის დირექციამ (დირექტორი ო. ალავიძე) მიიჩნია, რომ წვიმიან ამინდში საჭირო არაა სათამაშო მინდორზე ფეხბურთელთა შეშვება, არ მოამზადა ბაზა სტუმრების შესახვედრად, არ დახაზა მინდორი, კარებს არ გაუკეთა ბადეები და ჩაშალა საქართველოს ჩემპიონატის კალენდარული მატჩი.

ამ ყოვლად აღმაშფოთებელ ამბავს უპრეცედენტოს ვუწოდებდით, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ პრეცედენტი მას ჰქონდა. ასევე მოიქცა „ლოკომოტივის“ დიღმის ბაზის ხელმძღვანელობა, რომელმაც ნება არ დართო ფეხბურთელებს ეთამაშათ 13 და 24 აპრილს. სახელდახელოდ შეიქნა საჭირო სხვა სათამაშო მინდვრების გამოძებნა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ რიცხვებში რესპუბლიკურ გათამაშებათა კალენდარული მატჩები შედგა ყველგან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ისეთივე უამინდობა იყო, როგორიც თბილისში. მხოლოდ ზემოხსენებული ორი ბაზის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ სათამაშოდ ჩამოსულ სტუმრებს შეიძლება უდიერად აუქნიო ხელი და ბალახს მეტი პატივი სცე, ვიდრე ადამიანს.

ყველა სპორტული საზოგადოების ხელმძღვანელობა და სტადიონის დირექცია მოვალეა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სპორტული ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია თავის დასკვნას გამოიტანს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ გვაოცებს ო. ალავიძის გაუგებარი პოზიცია: იგი თვითონ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია და ხშირად არბიტრობს რესპუბლიკურ გათამაშებათა მატჩებს. საინტერესოა, რას იტყოდა ო. ალავიძე, მისთვის რომ მიეკეტათ სტადიონის კარი წვიმის გამო?

დოლის დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტო.

ორი ინტერვიუ

რამდენიმე შეკითხვა გურსკის

ბერლინის „დოიჩე შპორტეხოს“ კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა პოლონეთის ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელს კ. გურსკის.

● **რა ცვლილებებია ეროვნულ ნაკრებში?**

— ცვლილებები საკმაოდაა, ვინაიდან ნაკრების ზოგმა მოთამაშემ დაკარგა ფორმა. ეს ნათელი გახდა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში. ნაკრებში ცვლილებები მოხდება, მაგრამ ძველი ბირთვიდან დარჩებიან ტომაშევსკი, შიმანოვსკი, გორგონი, დეინა, ლატო და სხვები.

● **როგორია გუნდის მზადების გეგმა მონრეალის ოლიმპიადის წინ?**

— 27 აპრილს საფრანგეთის ნაკრებს ვხვდებით, 5 მაისს — ბერძნებს, 11 მაისს — შვეიცარიელებს, სამივე მატჩი მეტოქეთა მინდვრებზე ჩატარდება. შემდეგ ნაკრების წევრები მონაწილეობას მიიღებენ ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითს თამაშებში. გამოვაქვეყნებთ ნაკრების 22 მოთამაშის სიას, რომლებსაც ორ კვირას დავასვენებთ და 20 ივნისიდან 6 ივლისამდე მოვაწყობთ საბოლოო შეკრებას.

● **პოლონეთის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტია ტიხის გკს, რომელიც სრულიად უცნობია ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მისი წარმატება თქვენთვისაც მოულოდნელია?**

— დიახ, რამდენადმე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, მოიპოვებს თუ არა ეს გუნდი პოლონეთის ჩემპიონობას, მის რამდენიმე მოთამაშეს ოლიმპიურ ნაკრებში მაინც მივიწვევთ. პირველ ყოვლისა ესენი არიან ოგასა და ოლსცა.

● ●

უპირველესი გოლეადორი

ბევრ მიმომხილველს ახლა სამხრეთ ამერიკის უძლიერეს ფეხბურთელად მიაჩნია არგენტინის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი სკოტა. მისი წარმატებები მართლაც დიდია. არავის გაუტანია არგენტინის ერთ ჩემპიონატში 60 ბურთი, სკოტამ კი შარშან გაიტანა. ამას წინათ არგენტინელებმა „ატლანტიკის თასზე“ მოუგეს პარაგვაელებს (3:2) და სამივე ბურთის ავტორი სკოტა იყო.

აი, რამდენიმე ნაწყვეტი ვრცელი ინტერვიუდან, რომელიც სკოტამ პოლონურ გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტს მისცა:

● **რას გვეტყვით თქვენი საფეხბურთო კარიერის შესახებ?**

— დავიბადე 1950 წელს სანტა-ფეში, ფეხბურთს ვთამაშობ 8 წლის ასაკიდან. ბავშვობიდანვე დავეჩვიე ბურთების გატანას. 1969 წელს პირველ პროფესიულ ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი „უნიონ სანტა-ფესთან“, ორი წლის შემდეგ გადავედი „სან-ლორენცოში“, სადაც დღემდე ვთამაშობ.

● **თქვენ ჩინებული ფიზიკური მონაცემები გაქვთ.**

— სიმაღლით 182 სანტიმეტრი ვარ, ვიწონი 78 კილოგრამს.

● **რამდენი ბურთი გაქვთ გატანილი თქვენი საფეხბურთო კარიერის მანძილზე?**

— არ დამითვლია. ისე კი ყოველი ბურთისთვის შეუპოვრად ვიბრძვი, თავს არ ვზოგავ, რაკი მინდორზე გამოვდივარ.

● **თქვენი საყვარელი ფეხბურთელი?**

— ლუის არტიმე, რომელიც „რივერ პლეიტსა“ და „ინდეპენდიენტეში“ თამაშობდა. იგი ნამდვილი გოლეადორი იყო. ბევრი რამ ვისწავლე არტიმეს თამაშის ყურებით.

● **როგორია არგენტინის ნაკრების ამოცანები?**

— ჩვენი მიზანია ძლიერი ნაკრების შექმნა. უპირველესი ამოცანა, შემადგენლობის გაახალგაზრდავება, უკვე შესრულებულია. ახლა კარგად უნდა მოვემზადოთ მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატისთვის. საკუთარ მინდორზე მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებას ვაპირებთ.

ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ჩოგბურთელების ჯიმ კონორსისა და კრის ევერტის „საჩოგბურთო“ სიყვარულს დიდი დღე არ ეწერა. 1974 წელს, როდესაც ჯერ კიდევ დანიშნულები იყვნენ, მათ გაიმარჯვეს უიმბლდონში, ხოლო დაშორების შემდეგ საჩოგბურთო მექაში ბედი აღარ სწყალობთ. შემდეგ წელიწადს იმავე ტურნირში ფავორიტი კონორსი ფინალში დამარცხდა თანამემამულე არტურ ეშთან, ხოლო ევერტი — ნახევარფინალში—ბილი ჯინ კინგთან. უიმბლდონში კრისი ერიდებოდა შეხვედრას ყოფილ საქმროსთან, რომელიც იქ თავის ახალ სატრფოსთან — 22 წლის ამერიკელ მსახიობ სიუზენ ჯორჯთან ერთად ჩავიდა. მაგრამ სურათიდან ჩანს, რომ კრის ევერტს ვერც კონორსთან განშორებამ და ვერც კინგთან წაგებამ ოპტიმისტური განწყობილება ვერ დაუკარგა. როგორც ჭეშმარიტი სპორტსმენი, იგი ღირსეულად შეხვდა მარცხს.

• •

თავდაცვის ახალ სახეობას, რომელიც ამას წინათ ლონდონში წარმოადგინეს იაპონელმა სპორტსმენებმა, ეწოდება არა კარატე, არამედ კუნგ ფუ. ჩვენი აზრით, ფოტოსურათი იმდენად მრავლისმეტყველია, რომ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისი

შაბათს ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ შინ მოუგო „ლიდს იუნაიტედს“ — 2:0. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია 4 მაისის შეხვედრაზე „ვულვერჰემპტონ უონდერერსსა“ და „ლივერპულს“ შორის. პირველს ლიგაში დარჩენისთვის 2 ქულა სჭირდება, ხოლო „ლივერპულს“ ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად აწყობს მოგება ან ფრე ანგარიშით 0:0, 1:1, 2:2. ჩემპიონის ვინაობა 4 მაისს გახდება ცნობილი.

ჩემპიონობის თეორიული შანსი ჰქონდა „მანჩესტერ იუნაიტედს“, მაგრამ იგი სტუმრად დამარცხდა „ლეისტერ სიტისთან“ — 1:2 და ახლა მხოლოდ თასის ფინალში იბრძოლებს საპატიო პრიზისთვის.

„იფსვიჩ თაუნისა“ და „დერბი ქაუნთის“ მატჩი დერბელთა თავდამსხმელის ფ. ლისთვის უკანასკნელი იყო მის სპორტულ კარიერაში. „დერბი ქაუნთიმ“ გაიმარჯვა ანგარიშით 6:2, ხოლო ლიმ ამ შეხვედრის ბოლო წუთზე ზედიზედ 2 გოლი გაიტანა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბერნლი“ — „კოვენტრი სიტი“ 1:3, „მანჩესტერ სიტი“ — „არსენალი“ 3:1, „სტოკ სიტი“ — „ნორვიჩ სიტი“ 0:2, „ასტონ ვილა“ — „მიდლსბრო“ 2:1, „ევერტონი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:0, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 0:3.

„ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ 42 თამაშში 59 ქულა დააგროვა, ხოლო „ლივერპულს“ 41-დან 58 ქულა აქვს.

II ლიგაში გადავლენ „შეფილდ იუნაიტედი“ და „ბერნლი“, შესაძლოა, მათ დაემატოს „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ ან „ბირმინგემ სიტი“, ხოლო II ლიგაში გამარჯვებულნი — „სანდერლენდი“, „ბრისტოლ სიტი“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ მომავალ სეზონში I ლიგაში ითამაშებენ.

შოტლანდია

შაბათს „გლაზგო რეინჯერსმა“ ჯონსტონის ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად სძლია „დანდი იუნაიტედს“ და ლიგის თასს ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

უწინდელის აჩრდილმა — გლაზგოს „სელტიკმა“ თავის მინდორზე წააგო „ეირ იუნაიტედთან“ — 1:2. გლაზგოელთა კარში ორივე გოლი რობერტსონმა გაიტანა. დანარჩენი შედეგებია: „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ — „სენტ ჯონსტონი“ 1:0, „აბერდინი“ — „ჰიბერნიენი“ 3:0, „მადერუელი“ —„დანდი“ 1:1.

იტალია

მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი კვირას მოეწყო რომში, ადგილობრივ „ლაციოსა“ და „ტორინოს“ შორის. ტურინელმა სალამ საკუთარ კარში გაიტანა ბურთი, ხოლო 89-ე წუთზე კაპორალემ შეძლო წონასწორობის აღდგენა — 1:1. ტურინის „იუვენტუსმა“ შინ ფრედ ითამაშა „რომასთან“ — 1:1. „ფიორენტინამ“ თავის მინდორზე მოუგო „ჩეზენას“ — 3:1. დანარჩენი შედეგები ასეთია: „ინტერნაციონალე“ (მილანი) — „სამპდორია“ (ცენუა) 2:1, „პერუჯა“ — „ასკოლი“ 1:1, „კომო“ — „კალიარი“ 3:0, „ვერონა“ — „მილანი“ 2:2, „ბოლონია“ — „ნაპოლი“ 2:0. სნაიპერთა სიას 18 გოლით სათავეში უდგას პულიჩი („ტორინო“). მის თანაგუნდელ გრაციანის 14, ხოლო ბეტეგას („იუვენტუსი“) — 13 გოლი აქვთ გატანილი.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორინო“	27	17	7	3	42:21	41
„იუვენტუსი“	27	16	7	4	41:24	39
„მილანი“	27	14	8	5	38:19	36

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ცვლილებები ჩეხოსლოვაკიის ლიგაში

1977-78 წლების სეზონში ჩეხოსლოვაკიის ლიგებში გარკვეული ცვლილებები მოხდება. პირველ ლიგაში 16 უძლიერესი გუნდი გამოვა, მაგრამ მას მხოლოდ ბოლო ადგილზე გასული დატოვებს. ნაცვლად ერთისა, მეორე ლიგაში იქნება სამი ჯგუფი, ამასთან, თითოეულში 16 გუნდი ითამაშებს. ამ ჯგუფებიდან სამი უძლიერესი კოლექტივი შემდგომ ერთმანეთს შეხვდება პირველი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად.

ოლიმპიური საზრუნავი

ავსტრალიელთა იმედები

მელბურნი. ავსტრალიის სამოყვარულო სპორტის ხელმძღვანელებს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში დიდი იმედი აქვთ თავიანთი მოცურავეებისა. ამ ქვეყნის ცურვის ფედერაციის მდივანმა სიდ გრინჯმა განაცხადა: „ავსტრალიის მოცურავეთა გუნდი, რომელიც მონრეალში იასპარეზებს, ყველაზე ძლიერია მელბურნის 1956 წლის თამაშების შემდეგ“.

გუნდში 28 სპორტსმენია. მათ შორის არიან „ამომავალი ვარსკვლავები“ — 13 წლის მიშელ ფორდი და ტრესი ვიკჰემი, მსოფლიო რეკორდსმენი სტაიერულ დისტანციებზე — 800 და 1500 მეტრზე სტივენ ჰოლანდი, მსოფლიო რეკორდების მფლობელი ამავე დისტანციებზე ჯენი ტურალი, სონია გრეი, გრეჰემ უინდეტი, მარკ კერი და სხვები.

რასაკვირველია, საეჭვოა, რომ ავსტრალიის გუნდმა შეძლოს 1956 წლის ტრიუმფის გამეორება (8 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი), მაგრამ ის, რომ ამ კონტინენტის მოცურავეები მონრეალში მედლების მოსაპოვებლად მიემგზავრებიან, უდავოა.

მძაფრი მეტოქეობის შედეგი

ნიუ იორკი. საინფორმაციო სააგენტოებისა და ამერიკის პრესის კორესპონდენტთა ცნობით, აშშ-ს მოცურავეთა ოლიმპიური ნაკრების მესვეურები სერიოზულად შეშფოთებული არიან ამჟამად შექმნილი სიტუაციით. აპრილის დამდეგს ჩატარებულმა აშშ-ს ღია ჩემპიონატმა გამოარკვია, რომ ამერიკელი სპორტსმენები მომზადების დონით ჩამოუვარდებიან სხვა ქვეყნების მოცურავეებს. მაგალითად, ინგლისელმა დევიდ უილკიმ საკმაო ძალა და ტალანტი გამოიჩინა იმისთვის, რომ მონრეალში ორი ოქროს მედლის მოპოვების იმედი ჰქონდეს. 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მისი შედეგია 2.18,48. 22 წლის აბერდინელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, როცა უკანასკნელ 20-მეტრიან მონაკვეთზე დამაჯერებლად მოუგო ამერიკელთა „მთავარ იმედს“ ამ სახეობაში ჯონ ჰენკენს.

თავის უახლოეს გეგმებზე ლაპარაკის დროს უილკიმ თქვა, რომ წვრთნას აპირებს მაიამიში (აშშ), სადაც უნივერსიტეტში სწავლობს. მისი მაქსიმალური დატვირთვა საწვრთნელ მეცადინეობაზე დღეში 12 ათასი მეტრია. ახლა სპორტსმენი დღეში 8 კილომეტრს ფარავს. „1972 წლიდან მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს: მოვიგო ორი ოქროს მედალი მონრეალში ბრასის სტილით ცურვაში“.

სიტუაციის სირთულე იმითაც არის გამოწვეული, რომ დაძაბული ურთიერთობაა აშშ-ს გუნდის ლიდერებს — ტიმ შოუს, ჯონ ჰენკენსა და ჯონ ნაბერს შორის. მაგალითად, აშშ-ს სტუდენტთა ჩემპიონატის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე შოუ და ნაბერი აშკარად აძლევდნენ ერთმანეთს „ვერაგულ“ შეკითხვებს. ნაბერმა შოუს ჰკითხა, ეცდები თუ არა გუნდში მოხვედრას 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში საასპარეზოდო. შოუს პასუხი მოულოდნელი იყო: „ვფიქრობ მაგ საკითხზე. შეიძლება ეს ადგილი გუნდში მე დავიკავო“. ნაბერს თვითონაც აქვს იმედი, რომ მონრეალში ამ სახეობაში იასპარეზებს.

ტიმ შოუს შედეგების რამდენადმე ჩამორჩენა სპორტსმენის ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ გამოიწვია. აი, რა უთხრა მან ჟურნალ „სპორტს ილიუსტრეიტედის“ კორესპონდენტს: „ერთხელ შინ გონებაში მოულოდნელად გამიელვა აზრმა, რომ ძალიან ძნელია ამდენი პრიზისა და ჯილდოს ტყვეობაში ყოფნა. მომეჩვენა, რომ ჩემი კარიერა დამთავრებული იყო. მაგრამ მე არ მინდა ეს. უკვე მოპოვებული ყველა ჯილდო წარსულის საბუთია, მე კი მომავალზე მინდა ვიფიქრო“. შოუმ თავისი წარუმატებლობა იმით ახსნა, რომ საკმარისად არ ვარჯიშობს სისწრაფის გამოსამუშავებლად. მაგრამ იმედი აქვს, რომ ამ ნაკლს მალე დაძლევს.

„ზუსტად არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთმანეთს გამუდმებით გავურბივართ, — თქვა ჰენკენმა, როცა უილკის შესახებ ჰკითხეს. — ჩემი აზრით, ორივენი ვცდილობთ ერთმანეთზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოვახდინოთ“. თავის მხრივ, უილკიმ განაცხადა: რაღაცნაირი მტრული გრძნობა გამიჩნდა ჰენკენის მიმართ, ალბათ იმიტომ, რომ... ხასიათით ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

მძაფრმა მეტოქეობამ ის გამოიწვია, რომ შოუს ასეთივე გრძნობა გაუჩნდა მონრეალში ასპარეზობის სხვა კანდიდატების — მარკ მონტგომერისა და ბრიუს ფერნისის მიმართაც.

ინგლისელთა გასაჭირი

ლონდონი. გაზეთმა „სანდი ტელეგრაფმა“ დაბეჭდა ოლიმპიადის მზადებისადმი მიძღვნილი წერილი.

იმ დროს, როცა ინგლისის ოლიმპიური გუნდის წევრები ცდილობენ, რაც შეიძლება უკეთეს ფორმას მიაღწიონ მონრეალის ოლიმპიადისთვის, სხვები გულმოდგინედ განაგრძობენ შრომას მათი გასამგზავრებელი ფულის საშოვნელად.

ინგლისის ოლიმპიურმა ასოციაციამ საინიციატივო კომიტეტი შარშან სექტემბერში შექმნა. ინგლისელ სპორტსმენთა აღჭურვისა და გამგზავრებისთვის მას 500000 გირვანქა სტერლინგი უნდა შეეგროვებინა. ამ თანხის დიდი ნაწილი კერძო ფირმებისა და საზოგადოებისგან უნდა შესულიყო.

დღეისთვის საინიციატივო კომიტეტმა, რომელსაც სათავეში უდგას კომპანია „ბებკოკ ენდ უილკოკსის“ თავმჯდომარე ჯონ კინგი, 300000 გირვანქა სტერლინგი მოაგროვა.

საინიციატივო კომიტეტმა პირველად გამოიყენა პროფესიული სარეკლამო კომპანია „უესტ ენდ ნელის“ სამსახური კლიენტთა მოსაძებნად და ხელშეკრულებათა დასადებად. ოლიმპიური ასოციაცია ყველა ფირმას უფლებას აძლევდა გამოეყენებინა სახელი „ინგლისის ოლიმპიური გუნდის მომმარაგებელი“.

მაგალითად, მოილაპარაკეს, რომ გაავრცელებდნენ ფეხსაცმლის კომპანია „ბატიას“ ნაწარმს, ფირმა „კადბერის“ შოკოლადს, „კოლგეიტ-პალმოლივის“ საპონს.

ოლიმპიური ასოციაცია ფულს ღებულობს უფრო ტრადიციული წყაროებიდანაც. მაგალითად, ლიუ გრეიდის მიერ ორგანიზებული კინოფილმის პრემიერა მას 40000 გირვანქა სტერლინგს მისცემს. ტეტბერიში კი მოეწყო სადილი, სადაც 250 გირვანქა სტერლინგი შეგროვდა.

რა მოხდებოდა, 500000 გირვანქა სტერლინგი რომ არ შეგროვილიყო? მაშინ მთავრობა უთუოდ დაამატებდა ფულს, თუმცა იგი ვალდებული არ არის ასე მოიქცეს.

მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ კი ასოციაციამ ხელახლა უნდა დაიწყოს ფულის მოგროვება ერთა თანამეგობრობის სპორტული თამაშებისთვის და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის...

ფავორიტები

ნიუ იორკი. სპორტული სტატისტიკის ცნობილმა სპეციალისტებმა ჯონ პოტსმა (აშშ) და რობერტო კვერჩეტანიმ (იტალია) შეადგინეს მონრეალის მომავალი ოლიმპიადის მძლეოსნური შეჯიბრების ფავორიტთა სია. რა თქმა უნდა, ამ „გამოანგარიშებულ“ ჩემპიონთაგან ყველა ვერ ავა XXII ოლიმპიური თამაშების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ დღეს ისინი მართლაც ფავორიტები არიან და რეგულარულად მაღალ შედეგებს აღწევენ უდიდეს შეჯიბრებებში. გაგაცნობთ მათ:

რბენა. 100 მ. სტივ უილიამსი (აშშ), დონ ქვორი (იამაიკა), ვალერი ბორზოვი (სსრ კავშირი). 200. ქვორი, უილიამსი, ჯეიმს ჯილკსი (განა). 400. დევიდ ჯენკინსი (დიდი ბრიტანეთი), ალფონს ბრიდენბახი (ბელგია), რონი რეი (აშშ). 800. მაიკ ბოიტი (კენია), ლუციან სუზანი (იუგოსლავია), რიკ უოლჰატერი (აშშ). 1500. ჯონ უოკერი (ახალი ზელანდია), ფილბერტ ბეიი (ტანზანია), როდ დიქსონი (ახალი ზელანდია). 5000. დიქსონი (აშშ), ემილ პუტემანსი (ბელგია), მარტი ლიკერი (აშშ). 10000. ბრენდან ფოსტერი (დიდი ბრიტანეთი), ფრენკ შორტერი (აშშ), იონ ჰერმენსი (ჰოლანდია). მარათონი. ბილ როჯერსი (აშშ), ჯერომ დრეიტონი (კანადა), დევიდ ჩეტლი (ავსტრალია). სპორტული სიარული 20 კილომეტრზე. დანიელ ბაუტისტა (მექსიკა), კარლ-ჰაინც შტადტმიულერი (გდრ), დომინგო კოლინი (მექსიკა). 110 მეტრზე თარჯრბენი. გი დრიუ (საფრანგეთი), ჩარლზ ფოსტერი (აშშ), ჯერი უილსონი (აშშ). 400 მეტრზე თარჯრბენი. ალან პასკოე (დიდი ბრიტანეთი), ჯონ აკიი-ბუა (უგანდა), ჯიმ ბოლდინგი (აშშ). 3000 მ წინაღობებით. ანდერს გერდერუდი (შვეცია), ბრონისლავ მალინოვსკი (პოლონეთი), მიხაელ კარსტი (გფრ).

ხტომა. სიმაღლეზე. დუაიტ სტოუნზი, ტომ ვუდსი (ორივე — აშშ), ალექსანდრე გრიგორიევი (სსრ კავშირი). ჭოკით. ვლადისლავ კოზაკევიჩი, ლეშეკ ბუჩერსკი (ორივე — პოლონეთი), ერლ ბელი (აშშ). სიგრძეზე. გჟეგოჟ ციბულსკი (პოლონეთი), ნენად სტეკიჩი (იუგოსლავია), ჟოაო ოლივეირა (ბრაზილია)... 5. ვალერი პოდლუჟნი (სსრ კავშირი). სამხტომი. ვიქტორ სანეევი (სსრ კავშირი), ოლივეირა, ტომი ჰაიმსი (აშშ).

ბირთვის კვრა. ჯეფ კეიპსი (დიდი ბრიტანეთი), ალან ფოიერბახი (აშშ), ჰანს-იოახიმ როტენბურგი (გდრ). ბადროს ტყორცნა. ვოლფგანგ შმიდტი (გდრ), რიკი ბრუხი (შვეცია), ჯონ პაუელი (აშშ). უროს ტყორცნა. კარლ-ჰანს რიმი (გფრ), ვალენტინ დმიტრენკო (სსრ კავშირი), იოჰენ ზაკსე (გდრ). შუბის ტყორცნა. სეპო ჰოვინენი, ჰანუ სიიტონენი (ორივე — ფინეთი), ნიკოლოზ გრებნიოვი (სსრ კავშირი).

ათჭიდი. ბრიუს ჯენერი, ფრედ დიქსონი (ორივე — აშშ), ნიკოლოზ ავილოვი, 4. ლეონიდ ლიტვინენკო (ორივე — სსრ კავშირი).

ჩოგბურთის კორტებზე

კოულიმ სძლია ევერტს

თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი კრის ევერტი (აშშ) საკმაოდ იოლად გავიდა ფილადელფიის (აშშ) დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალში. გადამწყვეტი მატჩი მისთვის წარუმატებელი გამოდგა. ევერტი დამარცხდა ასევე სახელგანთქმულ ჩოგბურთელთან ივონ კოულისთან (ავსტრალია) — 3:6, 6:7.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 29 აპრილი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. უნივერსიტეტი (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 15 ს. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „გაანთიადი“ (თბილისი). 17 ს.

ჩოგბურთი. დევისის თასის გათამაშება. სსრ კავშირი — მონაკო. „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონი (სანაპიროს ქ. № 2). 29 აპრილი. დასაწყისი 13 ს. 30 წთ.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03308